პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 98 (1008). | ოთხშაბათი 5 დეკემბერი, 1956 წ. | გამოცემის მე-13 წელი | ფასი 30 კაპ.

# ყველაზე დემოკრატიული

5 დეკემბერს მთელი ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს მშრომელები ზეიმით აღნიშნავენ საბჭოთა კონსტიტუციის დღეს. 20 წლის წინათ საბჭოების VIII საგანგებო ყრილობამ ერთხმად დაამტკიცა საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუცია — მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს ძირითადი კანონი, რაც ნიშნავდა იმას, რომ ჩვენი ქვეყანა შევიდა ახალ ფაზაში — სოციალიზმის მშენებლობის დამთავრებისა და კომუნიზმში თანდათანობითი გადასვლის ფაზაში. ჩვენმა კონსტიტუციამ, რომელიც ყველაზე დემოკრატიულია მთელ მსოფლიოში, თვალნათლივ დაანახა ყველა ხალხს, თუ რა წარმატებების მოპოვება შეუძლიათ სოციალისტური ქვეყნის მშრომელებს, რომელთაც ხელმძღვანელობენ და ახალი საგმირო საქმეებისათვის აღაფრთოვანებენ სახელოვანი კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა.

სსრ კავშირის კონსტიტუციის სიდიადე იმაში მდგომარეობს, რომ იგი მშრომელთათვის უზრუნველყოფს ბედნიერი და სამშური ცხოვრების პირობებს, ფართო გასაქანს აძლევს მასების შემოქმედებით აქტივობას საბჭოთა ქვეყნის საკეთილდღეოდ. სოციალისტური ქვეყნის მოქალაქეებს აქვთ განუზომელი უფლებები შრომასა, დასვენებასა და განათლებაზე, მოხუცებულობის პერიოდში, აგრეთვე ავადმყოფობისა და შრომისუნარიანობის დაკარგვის შემთხვევაში უზრუნველყოფილი არიან მატერიალურად, ქალი და მამაკაცი თანასწორუფლებიანია მოღვაწეობის ყველა დარგში, დაწესებულია მოქალაქეთა თანასწორობა ეროვნების, რასის განურჩევლად. საბჭოთა კონსტიტუცია უზრუნველყოფს სიტყვის, პრესის, კრების თავისუფლებას, პიროვნების ხელშეუხებლობას. ჩვენი ქვეყნის ადამიანებს უფლება აქვთ გაერთიანდნენ სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, რომელთა შორის ყველაზე გავრცელებული ფორმაა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებები.

ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური ზრუნვის შედეგად სპორტული საზოგადოებები გახდა მთავარი ფაქტორი მასობრივ-ფიზკულტურული მოძრაობის განვითარების, მშრომელთა ჯანმრთელობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში. სპორტულ საზოგადოებებში აღიზარდა ათასობით შესანიშნავი სპორტსმენი, რომლებიც წარმატებით გამოდიან საერთაშორისო სარბიელზე, სახელს უხვეჭენ მშობლიურ საბჭოთა სპორტს, მილიონობით ნიშნოსანი, თანრიგოსანი, სპორტის ოსტატი.

ბოლო წლებში ფიზკულტურა და სპორტი კიდევ უფრო მტკიცედ დამკვიდრდა მშრომელთა ფართო მასებში. მასობრივ-ფიზკულტურული მოძრაობის განვითარებამ მყარი საფუძველი შექმნა ნიჭიერი სპორტული კადრების მოსამზადებლად, რომლებიც წარმატებით შრომობენ ფაბრიკა-ქარხნებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში, ხელს უწყობენ საბჭოთა სპორტის წინსვლის საქმეს. საბჭოთა ფიზკულტურისა და სპორტის კიდევ უფრო მძლავრ განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადამ, სპორტი კიდევ უფრო მეტად პოპულარული გახდა მშრომელებში, სპორტულ სექციებში მოვიდნენ ახალგაზრდა, ნიჭიერი გოგონები და ჭაბუკები.

ამჟამად ავსტრალიის ქალაქ მელბურნში მიმდინარეობს XVI ოლიმპიური თამაშები, სადაც ჩვენი ქვეყნის წარგზავნილები დიდი წარმატებით გამოდიან სპორტის სხვადასხვა სახეობაში. ოქროს მედლებს მოიპოვებს საბჭოთა ძალოსნებმა, მძლეოსნებმა, ნიჩბოსნებმა, მოკრივეებმა. ოლიმპიური ჩემპიონი გახდა ქართველი მოჭიდავე მ. ცალქალამანიძე.

გამოდიან რა მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესებიდან, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და მთავრობა თანმიმდევრულად ახორციელებენ ქვეყნებს შორის ურთიერთგაგების, მეგობრობის განმტკიცების, საქმიანი თანამშრომლობის კიდევ უფრო გაფართოების პოლიტიკას. ჩვენი სამშობლო სასტიკ პროტესტს უცხადებს ყველა იმას, ვინც მშვიდობის მტერია, ვისაც სურს მოაწყოს მშვიდობიანი მოსახლეობის ახალი ხოცვა-ჟლეტა.

რესპუბლიკის მშრომელები, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთან ერთად ზეიმით აღნიშნავენ საბჭოთა კონსტიტუციის დღეს, კონსტიტუციისა, რომელმაც კანონით განამტკიცა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარნი, და გმირულად შრომობენ, რათა კიდევ უფრო ძლიერი გახდეს საბჭოთა სამშობლო, განუხრელად ამაღლდეს საბჭოთა ხალხის მატერიალურ-კულტურული ცხოვრების დონე. ამ ზეიმის დღეს სოციალისტური ქვეყნის მშრომელები მხურვალედ მიესალმებიან საბჭოთა სახელმწიფოს ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს, დიადი საბჭოთა კონსტიტუციის შემოქმედს — სახელოვან კომუნისტურ პარტიას.

☆

# საიუბილეო პირველობა

ხარკოვში ჩატარდა ჩვენი ქვეყნის პირად-გუნდური პირველობა აკრობატიკაში, იგი საიუბილეოც იყო, რადგან მეათედ მოეწყო საბჭოთა კავშირში. შეჯიბრებაში, რომელიც სპორტსაზოგადოებებს შორის გაიმართა, პირველობისათვის იბრძოდა 17 კოლექტივი. პროგრამაში იყო აკრობატიკის ოთხი სახე: ჯგუფური ვარჯიში, ვაჟთა წყვილი, შერეული წყვილი და აკრობატული ხტომები.

სავალდებულო პროგრამით ვარჯიშში თავიდანვე დაწინაურდნენ გასული წლის ჩემპიონები გ. კაზაჯიევი და ა. კორნეევი („ბურევესტნიკი“ I), რომლებმაც ყველაზე მაღალი შეფასება — 19,05 ქულა დაიმსახურეს და გაიმარჯვეს. ნებისმიერ ვარჯიშებში კაზაჯიევმა და კორნეევმა შეინარჩუნეს ლიდერობა და მოიპოვეს ჩემპიონობა — 149,75 ქულა.

შერეულ წყვილში სავალდებულო ვარჯიშების შემდეგ ლიდერობდნენ ჟ. ბრიკოვი და ე. კურბანოვა, შემდეგში ისინი კიდევ უფრო დაწინაურდნენ და პირველი ადგილი მოიპოვეს.

საინტერესოდ ჩატარდა ჯგუფური ვარჯიშები. აქ გამარჯვების პრეტენდენტები იყვნენ „ბურევესტნიკის“, „შრომითი რეზერვებისა“ და საბჭოთა არმიის სპორტსმენები. პირველ ვარჯიშში წინ გავიდა კრასნოდარის „ბურევესტნიკის“ ოთხეული, მაგრამ შემდეგ ისინი ჩამორჩნენ. „ბურევესტნიკის“ პირველმა გუნდმა 304,05 ქულა მოაგროვა და მოიპოვა ჩემპიონობა (ვ. პიხოვი, ვ. მინენკოვი, ბ. გაზარიანი, ვ. ბირიუკოვი).

აკრობატული ხტომები დაიწყო ჩვენი ქვეყნის 1950 წლის ჩემპიონის ა. პლოტნიკოვისა („ბურევესტნიკი“-II) და გასული წლის ჩემპიონის ი. პოპოვის („კრასნოე ზნამია“) საინტერესო გამოსვლებით. სავალდებულო ვარჯიშის შემდეგ პლოტნიკოვს ჰქონდა 37,75 ქულა, პოპოვი მას 0,7 ქულით ჩამორჩებოდა. პლოტნიკოვმა მოიპოვა ჩემპიონობა — 77,0 ქულა. სავალდებულო ვარჯიშებში პოპოვს 0,5 ქულით გაასწრო ბირიუკოვმა, რომელმაც მეორე ადგილი დაიკავა.

ქალთა შორის აკრობატულ ხტომებში უძლიერესი აღმოჩნდა „კრასნოე ზნამიას“ წარმომადგენელი ლ. ვინიჩენკო — 75,95 ქულა. გამარჯვებულს ერთი ქულით ჩამორჩა „ბურევესტნიკის“ I გუნდის წარმომადგენელი ა. კოლესოვა.



თ. ტიშკევიჩი.
ოლიმპიადის ჩემპიონი



მ. პისარევა,
ოლიმპიადის პრიზიორი



ვ. კუზნეცოვი.
ოლიმპიადის პრიზიორი.

* * *

ოლიმპიური თამაშების პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები მძლეოსნობაში დამთავრდა. „კრიკეტ გრაუნდის“ ვეება სტადიონი კვლავ სავსე იყო მაყურებლებით, როცა მძლეოსნებს მიეცათ უკანასკნელი სტარტები.

საბჭოთა სპორტსმენები, როგორც ცნობილია, სუსტად მონაწილეობდნენ სპრინტში. ვაჟთა შორის არც ერთი ჩვენი სპრინტერი არ იყო 100 მეტრზე რბენის ფინალში, მაგრამ სსრ კავშირის ნაკრები გუნდის წევრებმა მაღალი საბრძოლო თვისებები და საერთო მომზადება გამოამჟღავნეს ამანათრბენში 4×100 მეტრზე. ნახევარფინალში ჩვენს გუნდს ჰქონდა იგივე დრო, რაც პირველი ადგილის ყველაზე უეჭველ პრეტენდენტს — აშშ-ს (40,3).

განუმეორებელ სანახაობას წარმოადგენდა ფინალური რბენა. პირველ სამ ეტაპზე საბჭოთა მორბენლები (ლ. ბარტენევი, ბ. ტოკარევი, ი. კონოვალოვი) არაფრით არ ჩამორჩებოდნენ ამერიკელებს, მხოლოდ ბოლო ეტაპზე შეძლო „სპრინტერების მეფემ“ ბ. მოროუმ (ასე უწოდეს ორი ოლიმპიური მედლის მფლობელს ბ. მოროუს უცხოურმა გაზეთებმა) გაესწრო ვ. სუხარევისათვის. ამერიკის შეერთებული შტატების გუნდმა თავისივე მსოფლიო რეკორდი — 39,8 გააუმჯობესა 0,3 წამით და დაიკავა პირველი ადგილი. სსრ კავშირის გუნდი სწორედ იმ 0,3 წამით გვიან იყო ფინიშთან. ბარტენევმა, ტოკარევმა, კონოვალოვმა და სუხარევმა საბჭოთა კავშირის ახალი რეკორდი დაამყარეს და გამოვიდნენ მეორე ადგილზე.




ათასგვარი პროგნოზი უძღოდა წინ სიმაღლეზე ხტომას ქალთა შორის. წელს ამ სახეობაში სხვადასხვა სახელმწიფოს სპორტსმენებმა აჩვენეს რამდენიმე მეტად მაღალი შედეგი და ამ მეტწილად დაუსწრებელ ბრძოლას უნდა მოყოლოდა მწვავე ბრძოლა დასწრებულ ოლიმპიურ შეჯიბრებაზე.

მართლაც, უძლიერესთა ხტომები მაღალი შედეგებით დამთავრდა. ოქროს მედალი მოიპოვა ამერიკელმა მ. მაკდანიელმა, რომლის შედეგი 1 მ 76 სმ ახალი მსოფლიო რეკორდია. ერთნაირი სიმაღლე — 1 მ 67 სმ დაძლიეს მ. პისარევამ (სსრკ) და ტ. ჰოპკინსმა (ინგლისი).

ცნობილმა სტაიერმა ა. მიმუნმა (საფრანგეთი) ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებზე მოიპოვა ორი ვერცხლის მედალი 5.000 და 10.000 მეტრზე რბენაში. ამჯერად მიმუნმა სტარტი აიღო მარათონულ რბენაში. 42.195 მეტრი მან გაირბინა 2 საათსა და 25 წუთში და ოქროს მედლის მფლობელი გახდა.

ვენდურეს ტბაზე გრძელდებოდა ფინალური შეჯიბრებები ნიჩბოსნობაში. ერთმოსასმელიან ბაიდარზე ჩემპიონობა მოიპოვა შვედმა სპორტსმენმა გ. ფრედრიკსონმა. მეორე ადგილზე გამოვიდა ი. პისარევი (სსრ კავშირი).

ვაჟთა ფინალურ ამანათრბენში 4×400 მეტრზე საბჭოთა სპორტსმენები ვერ მოხვდნენ. როგორც მოსალოდნელი იყო, გამარჯვება მოიპოვა ამერიკის შეერთებული შტატების გუნდმა შედეგით 3.04,8. ავსტრალიელებმა აჩვენეს 3.06,2, ინგლისელებმა — 3.07,2.

ახალი ოლიმპიური რეკორდით დამთავრდა ფინალური რბენა 1.500 მეტრზე. იგი დაამყარა ირლანდიელმა მძლეოსანმა რ. დელანიმ — 3.41,2. ასეთი დისტანციისათვის უჩვეულო შემთხვევით გამოირკვა მეორე ადგილი. ვ. რიჰენჰაინი (გერმანია) და ჯ. ლენდი (ავსტრალია) ფინიშის ხაზთან ერთად იყვნენ, მაგრამ გერმანელი აღმოჩნდა მკერდით წინ, რამაც მას მოუტანა ვერცხლის მედალი. მათი დროა 3.42,0. საბჭოთა მძლეოსნები ამ მანძილზე არ გამოსულან.

მძლეოსანთა შეჯიბრებები დამთავრდა. ოლიმპიური „სიმძიმის ცენტრმა“ გადაინაცვლა საცურაო აუზებისაკენ. უნდა აღინიშნოს, რომ ავსტრალიელებს საწყლოსნო სპორტი მეტისმეტად უყვართ. არა თუ შეჯიბრებებს, მოცურავეთა წვრთნასაც ყოველთვის აუარებელი მაყურებელი ესწრება.

ავსტრალიელ სპორტსმენთა ტრიუმფით დამთავრდა ქალთა ცურვა 100 მეტრზე თავისუფალი სტილით. ეჭვის შეტანა არ შეიძლებოდა იმაში, რომ ოქროს მედლისათვის იბრძოლებდნენ ლ. კრეპი და დ. ფრეზერი. მაგრამ ამ ორ ავსტრალიელ გოგონას შორის უპირატესობას მაინც ლორეინ კრეპს აკუთვნებდნენ, რომელმაც ბოლო ხანებში ფენომენალური შედეგები აჩვენა თავისუფალი სტილით ცურვაში. კერძოდ, მან ზედიზედ გააუმჯობესა ფრეზერის მსოფლიო რეკორდი (1.03,3) და დაიყვანა იგი 1 წუთსა და 02,4 წამამდე.

და აი, ლ. კრეპმა და დ. ფრეზერმა აიღეს სტარტი. ასეთი გაცურვა ჭეშმარიტად არ ახსოვს ცურვის სპორტის ისტორიას. იგი ბრწყინვალედ მოიგო ფრეზერმა ახალი მსოფლიო და ოლიმპიური რეკორდით — 1.02.

(დასასრული მე-3 გვ.).

# ახალი ჩემპიონები

მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა მორიგი საკავშირო პირველობა ჩატარდა პირველთანრიგოსანთა და ოსტატთა პროგრამით. ხარკოვის „კრასნოე ზნამიას“ ცენტრალურ სპორტულ დარბაზში გამარჯვებისათვის იბრძოდა უწყებათა და სპორტსაზოგადოებათა 13 გუნდის საუკეთესო წარმომადგენელი.

შეჯიბრება დაიწყო ოსტატებისათვის სავალდებულო ვარჯიშით უსაგნოდ. აქ ყველა მონაწილემ ერთობ დაბალი შეფასება დაიმსახურა, მაგრამ შემდეგ სახეობებში გამოსწორებულ იქნა პირველი ჩავარდნები. ხტომებში ყველაზე მაღალი შეფასება — 9,9 ქულა მიიღო „შრომითი რეზერვების“ წარმომადგენელმა ლ. ნაზმუტდინოვამ, მაგრამ შემდეგში წინ გავიდა ბურევესტნიკელი ე. ბირიუკი და სავალდებულო ვარჯიშების დამთავრებისას 37,7 ქულით ლიდერობდა შეჯიბრებას.

ნებისმიერი პროგრამით შეჯიბრების დაწყების შემდეგ დიდ წარმატებას მიაღწია ბურევესტნიკელმა ოსტატმა ა. ნუჟნაიამ. მან ამ შეჯიბრებაზე პირველმა მოიპოვა უმაღლესი შეფასება — 10 ქულა. კარგად გამოვიდნენ თურეთვე მ. ბულგაკოვა და ლ. ნაზმუტდინოვა.

ნებისმიერი პროგრამით საგნებით შეჯიბრება სპორტსმენთა ნებასურვილით ჩატარდა, ე. ი. მონაწილეს შეეძლო აერჩია მისთვის ხელსაყრელი საგანი. აქ ნაზმუტდინოვამ მიიღო ყველაზე მაღალი შეფასება — 9,85 ქულა.

ორი დღის ბრძოლის შემდეგ ოსტატთა პროგრამით ჩემპიონობა წილად ხვდა ე. ბირიუკს, ლ. ნაზმუტდინოვამ და რ. სისოევამ მოიპოვეს II და III ადგილები. თბილისელი პენკოვა გამოვიდა მეშვიდე ადგილზე.

პირველთანრიგოსანთა შორის შეჯიბრებას პირველი ვარჯიშიდან სათავეში ჩაუდგა ვ. ხორომსკაია („კრილია სოვეტოვი“) და ვ. პოდგაიცი („პიშჩევიკი“). სავალდებულო ვარჯიშების შემდეგ თვითეულ მათგანს 35,75 ქულა ჰქონდა დაგროვილი. ნებისმიერ ვარჯიშებში ისინი კვლავ დიდხანს მიდიოდნენ მხარდამხარ. გამარჯვებული მხოლოდ უკანასკნელმა სახეობამ გამოავლინა. ჩემპიონობა წილად ხვდა ვ. პოდგაიცს, რომელმაც 44,7 ქულა მოაგროვა. ვ. ხორომსკაია გამარჯვებულს ჩამორჩა 0,05 ქულით, მესამე ადგილზე გამოვიდა ჯ. მასინგი („კალევი“) — 44,4 ქულა.



სურათზე: თბილისის „ბურევესტნიკის" ფრენბურთელ ქალთა გუნდი, რომელმაც „ა" კლასში თამაშის უფლება მოიპოვა.

## ფრენბურთელთა ტურნირი

თბილისის ლენინის სახელობის დარბაზში დამთავრდა რესპუბლიკის უძლიერეს ფრენბურთელთა გუნდების ტურნირი გაზეთ „მოლოდოი სტალინეცის" პრიზზე.

მეტად მწვავე ბრძოლაში მიმდინარეობდა ვაჟთა გუნდების შეჯიბრება. ფინალურ ჯგუფში თამაშის უფლება მოიპოვეს თბილისის ოფიცერთა სახლის, პოლიტექნიკური, რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა და ფიზკულტურის ინსტიტუტების გუნდებმა.

ფიზკულტურის ინსტიტუტისა და არმიელ ფრენბურთელთა შეხვედრაში პირველი პარტია მოიგეს არმიელებმა — 15:9, მაგრამ მეორე პარტიის შემდეგ სტუდენტებმა გაათანაბრეს ანგარიში — 15:13. ანალოგიურად წარიმართა მესამე და მეოთხე პარტიები, სადაც ჯერ გაიმარჯვეს არმიელებმა (15:8), ხოლო შემდეგ—სტუდენტებმა (16:14). გადამწყვეტ, მეხუთე პარტიაში ანგარიში წაიყვანა ინსტიტუტის გუნდმა — 8:3. მაგრამ არმიელებმა გააძლიერეს თამაში და შეძლეს მისი დამთავრება გამარჯვებით —16:14.

მეორე ფინალურ ჯგუფში პოლიტექნიკური და რკინიგზის ტრანსპორტის ინსტიტუტების ფრენბურთელთა შეხვედრაში იოლი გამარჯვება მოიპოვეს პირველებმა — 3:0.

პოლიტექნიკური და ფიზკულტურის ინსტიტუტების გუნდების დაძაბული შეხვედრა დამთავრდა პირველების გამარჯვებით.

გამარჯვება მოიპოვეს აგრეთვე არმიელებმა რკინიგზის ტრანსპორტის ინსტიტუტის გუნდთან — 3:1.

ფინალური თამაშების ბოლო დღეს ერთმანეთს შეხვდნენ ოფიცერთა სახლისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდები, რომლებიც ტურნირში დაუმარცხებლად იბრძოდნენ. შეხვედრა მოიგეს არმიელმა სპორტსმენებმა — 3:1.

ამგვარად, „მოლოდოი სტალინეცის" პრიზი მოიგო თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდმა. მეორე ადგილზე გამოვიდნენ პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტსმენები, მესამეზე — ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი.

რა დასკვნების გაკეთება შეიძლება განვლილი ტურნირიდან? სასიხარულოა, რომ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში გამოჩნდა რამდენიმე ძლიერი კოლექტივი. ეჭვს გარეშეა, რომ ბრძოლა მათ შორის აამაღლებს ფრენბურთის საერთო კლასს ჩვენში. ნაგრამ საჭიროა, რომ შეჯიბრებები უძლიერესთა მონაწილეობით ტარდებოდეს უფრო ხშირად.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია თბილისის ოფიცერთა სახლის ფრენბურთელთა კოლექტივი, რომელიც გამოირჩევა კარგი ტექნიკური, ტაქტიკური, ფიზიკური მომზადებით და აგრეთვე დისციპლინით.

სინანულით უნდა აღვნიშნოთ სოხუმისა და ბათუმის ფრენბურთელთა კლასის დაქვეითება.

ერთხელ კიდევ უნდა ითქვას იმის შესახებ, რომ ჩვენი რესპუბლიკის ფრენბურთელები სისტემატურად აწარმოებენ წვრთნას მხოლოდ შეჯიბრებათა წინ მაშინ, როცა ასეთი წვრთნა უნდა წარმოებდეს მთელი წლის განმავლობაში.

ლ. ფაშალიშვილი

ფელეტონის მაგიერ

## მოცეკვავე მასწავლებლები

ბათუმის რაიონის სოფელ ახალშენისა და მახინჯაურის საშუალო სკოლების ფიზკულტურის მასწავლებლებს გივი მიქაძესა და იაშა ხალვაშს ბავშვობიდანვე უყვარდათ ცეკვა. ცეკვავდნენ საშუალო სკოლაში. მათი ოსტატობის სახელი სკოლის ფარგლებს გასცდა. ცეკვავდნენ ინსტიტუტშიც, აქაც აქებდნენ მათ ქორეოგრაფიულ ნიჭს, ქალაქში ბევრს ლაპარაკობდნენ ამ ორ ტალანტზე. ამბავმა აჭარის სახელმწიფო ანსამბლის ხელმძღვანელობის ყურამდეც მიაღწია...

პედინსტიტუტის ფიზკულტურის ფაკულტეტის ორივე სტუდენტმა სცენაზე გადაინაცვლა. ღლტაცებაში მოჰყავდა მაყურებელი მათ „ხორუმსა" და „განდაგანს". გივისა და იაშას სახელი თანდათან პოპულარული გახდა.

უკან დარჩა სტუდენტობის ოქროს დღეები. გივიმ და იაშამ პედინსტიტუტი დაამთავრეს და ნორჩი თაობის აღზრდის კეთილშობილურ საქმეს შეუდგნენ.

მივიდნენ სკოლაში და, ეჰ, როგორ მოტყუვდნენ! წარმოიდგინეთ, ყველაფერი მათ დაწვათ კისერზე: სპორტული ბაზების მშენებლობა, ძირეული კოლექტივის განმტკიცება, კლასგარეშე მუშაობა, რაიონულ შეჯიბრებებში მონაწილეობა. მათაც სიმძიმეს ვერ გაუძლეს და წელში მოიხარნენ. მოუმზადებელი მიდიოდნენ გაკვეთილზე. სკოლების სპორტული მაჩვენებლები დაეცა, არც ერთი ამხანაგური მატჩი არ მოწყობილა მეზობელ სკოლებთან, კოლმეურნეებთან, ახალშენის სკოლაში ვაი-ვაგლახით მოაწყეს ფრენბურთის მოედანი და სიმაღლეზე სახტომი ორმო. ყველაფერი ამით დამთავრდა. ყოველ გაკვეთილზე ერთიდაიგივე ვარჯიშები, ფრენბურთი და ორმოში ხტომა. ორმოში ხტომა და ფრენბურთი — აი მთელი სპორტი ამ სკოლაში. შეიძლება ამას დაემატოს თითზე ჩამოსათვლელი სხვა ღონისძიება.

აჭარაში ხმა დაირხა, ჩვენები ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადისათვის ემზადებიანო, ცეკვის ანსამბლმა სასწრაფოდ გამოიძახა ვეტერანები — გივი მიქაძე და იაშა ხალვაში, გაიხარეს მასწავლებლებმა, მაგრამ თავი დაიფასეს. თქვენ წარმოიდგინეთ, მათ ანსამბლის ხელმძღვანელობას უარი სტკიცეს.

— ჩვენ ბავშვებს ვერ მივატოვებთ, ფიზკულტურულ-სპორტული მომზადება ჩაგვეშლება, — განაცხადეს მათ, — აი, თუ განათლების მინისტრი ჩაერევა ამ საქმეში...

...აჭარის განათლების მინისტრ ვ. აბელედიანის კაბინეტში ტელეფონი აწკრიალდა — ანსამბლიდან რეკავდნენ გივისა და იაშას თაობაზე. ლაპარაკი დიდხანს არ გაგრძელებულა, მინისტრი დათანხმდა, ყურმილი დადო და ხელახლა აკრიფა ნომერი.

— გისმენთ ბათუმის რაიონის განათლების განყოფილების გამგის მოადგილეობის შემსრულებელი დ. ჩხიკვიშვილი! — მოისმა ყურმილში.

მინისტრმა უთხრა, რაც სურდა.

მეორე დღეს ახალშენის საშუალო სკოლაში ასეთი განკარგულება მოვიდა „ამხ. ჯიჯეიშვილს! (სასწავლო ნაწილის გამგეა) მასწავლებელი გ. მიქაძე თავისუფალია გაკვეთილების ჩატარებიდან დეკადასთან დაკავშირებით მ/წლის 19 ნოემბრიდან. ხელფასის ანაზღაურების შესახებ განმეორებით გაცნობებთ.

დ. ჩხიკვიშვილი".

ასეთი ბარათი გაეგზავნა მახინჯაურის საშუალო სკოლის დირექტორ ლ. ქაჯაიას ი. ხალვაშის განთავისუფლების შესახებ.

მას შემდეგ ფიზკულტურის გაკვეთილი ცდება ორივე სკოლაში. მასწავლებლები გ. მიქაძე და ი. ხალვაში კი ანსამბლში ცეკვავენ.

ჩვენ მივესალმებით აჭარის ასსრ ხელოვნებისა და ლიტერატურის მომავალ დეკადას და ვისურვებთ მის წარმატებით ჩატარებას. ჩვენც გვიყვარს ცეკვები, მათში არის სპორტული ელემენტები, მაგრამ ერთი სასარგებლო საქმე ისე უნდა ეწყობოდეს, რომ მეორეს არ ვნებდეს.

ო. გელაშვილი

## ახალი ხელსაწყო

როგორც ცნობილია, ფარიკაობის შეჯიბრების დროის გამოთვლა მრავალ უხერხულობასთანაა დაკავშირებული. მსაჯებმა ეს საათებით ანდა წამმზომებით უნდა აწარმოონ, რაც ხოგ შემთხვევაში იწვევს შეცდომებს.

არსებული მდგომარეობის თავიდან აცილების მიზნით საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ფარიკაობის კათედრამ შეიმუშავა ახალი ტიპის ქრონომეტრი „ლვგ 1-56", რომლის ავტორია ფარიკაობის კათედრის გამგე დოცენტი ლ. გოლოვნია.

ახალი ხელსაწყო ბრძოლის დასაწყისში მოიმართება 10, 8 ან 5-წუთიანი ბრძოლისათვის. მსაჯის ძახილზე „დაიწყეთ!" ხელსაწყო ჩაირთვება, ხოლო დროის ამოწურვისას იძლევა სიგნალს და აინთება ნათურა წარწერით „სდექ". ამასთან, ბრძოლის დამთავრებამდე ორი წუთის, ხოლო შემდეგ ერთი წუთის დარჩენის შემთხვევაში ზარისა და სათანადო ფერების ნათურების საშუალებით იძლევა გაფრთხილებას: „დარჩა 2 წუთი", „დარჩა 1 წუთი". აპარატის სიზუსტე მსაჯს ათავისუფლებს იმ სიძნელისაგან, რომ ერთდროულად თვალყური ადევნოს როგორც დროის, ისე ბრძოლის მსვლელობას; ამასთან, შეჯიბრების მონაწილენი მიუკერძოებლად, მათემატიკური სიზუსტით იღებენ ბრძოლისათვის განკუთვნილ დროს.

ახალმა სამსაჯო აპარატმა უკვე გაიარა გამოცდა თბილისში გამართულ შეჯიბრებაზე. მონაწილენი და მსაჯები დიდი კმაყოფილნი დარჩნენ აპარატის სიზუსტით. მოკლე ხანში აპარატი გაიგზავნება უფრო დიდი მასშტაბის შეჯიბრებებზე.

ახალი ქრონომეტრი არაა რთული ხელსაწყო და ვიდრე მისი სერიული გამოშვება დაიწყებოდეს, დაინტერესებულ პირებს თვით შეუძლიათ მისი დამზადება. აპარატის ერთი ეგზემპლარი ინახება ფიზკულტურის ინსტიტუტის კათედრაზე, სადაც შეიძლება მისი მოწყობილობის გაცნობა.

ახალი სამსაჯო აპარატი უდავოდ ხელს შეუწყობს მსაჯობის სიზუსტის დადგენას ფარიკაობაში.

ა. ციბაძე

## მოძმე რესპუბლიკაში

თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტმა ფიზაღზრდის კათედრასთან ერთად მოაწყო ავტომოტოგადარბენა მარშრუტით თბილისი-ერევანი-თბილისი, რომელშიც 42 სტუდენტი მონაწილეობდა. მათ შორის იყვნენ კალათბურთელები, ფრენბურთელები, აკრობატები, თვითმოქმედი წრის წევრები. სტუმრები ეწვივნენ ერევნის პოლიტექნიკურ ინსტიტუტს. საღამოზე თბილისელ სტუმრებს სიტყვით მიმართა ერევნის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა კ. სარქისიანმა და გადასცა სამახსოვრო ვიმპელი. საპასუხო სიტყვით გამოსულმა თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა გოგიჩაიშვილმა მასპინძლებს მიუძღვნა თასი და ვიმპელი.

დასასრულ გაიმართა ორი ინსტიტუტის ფრენბურთელ და კალათბურთელ ვაჟთა და ქალთა გუნდების შეხვედრა.

ი. ხარაძე

## ქრონიკით დღევრონვეტროვსკიდან

### მეათე ტური

ტურნირის ლიდერმა ვოლპერტმა მწვავე თამაშში დაამარცხა გაფრინდაშვილი, ხოლო ბორისენკომ — კოლოტი. ესტერკინამ მოუგო გორინას, კაცკოვამ ყაიმით დაამთავრა პარტია ზვორიკინასთან.

დანარჩენი პარტიები გადაიდო. კაკაბაძეს — იგნატიევასთან, ხოლო ტოგონიძეს — ტიხომიროვასთან მოსაგები პოზიციები აქვთ.

### მეთერთმეტე ტური

ბორისენკომ რუდენკოსთან გამარჯვებით განიმტკიცა ლიდერის მდგომარეობა. ზვორიკინასა და ვოლპერტის შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. ჩინებულად თამაშობდა ტოგონიძე გორინას წინააღმდეგ და გაიმარჯვა.

ზატულოვსკაია-კაკაბაძისა და ესტერკინა-ვოიცეკის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

### გადადებული პარტიები

ტოგონიძემ ადვილად გამოიყენა უპირატესობა ტიხომიროვასთან პარტიაში და გაიმარჯვა. კარგად თამაშობდა გაფრინდაშვილი კრიუკოვასთან. შეუპოვარი წინააღმდეგობის შემდეგ კრიუკოვა დანებდა. ზვორიკინამ დაამარცხა იგნატიევა, ხოლო კრიუკოვამ — მატვეევა.

კაკაბაძემ ვერ გამოიყენა უპირატესობა იგნატიევასთან და პარტია ყაიმით დამთავრდა.

თერთმეტი ტურის შემდეგ ლ. ვოლპერტს აქვს 9,5 ქულა, ვ. ბორისენკოსა და კ. ზვორიკინას — 8,5 ქულა თვითეულს, ე. კაკაბაძეს — 7 ქულა. ნ. გაფრინდაშვილს — 5,5, ხოლო მ. ტოგონიძეს — 5 ქულა.

ე. კაკაბაძე



ტ. კრიუკოვა

ქართველი მოჭადრაკე მოხდენილად სარგებლობს თეთრი მეფის დაუცველობით და e ვერტიკალზე ლაზიერისა და მხედრის არა ხელსაყრელი მდებარეობით.

პარტია ასე გაგრძელდა: 1. ... მc3 2. კ:c3 ე:c3+ 3. მფg2 ეce3! (შესანიშნავი სვლების დასაწყისი. თეთრები იძულებული არიან დაიცვან მხედარი. ამასობაში კი შავებს ლაზიერი მეფის ფრთაზე გადაყავთ გადამწყვეტი იერიშის მისატანად) 4. ეf2 ლa6! 5. c4 bc 6. მფf1 ლc8 7. ე:c3 ლh3+ 8. მფg1 ლg4+ 9. მფf1 კ:f4 10. ე:e3 კ:e3 11. მg1 კ:f2 თეთრები დანებდნენ.

# ჭადრაკი

## საკავშირო ნახევარფინალი

### მეცხრე ტური

ყურადღების ცენტრში იყო გურგენიძე-კორჩნოის პარტია. ინგლისურ დაცვაში ბრძოლა ნელნელა რთულდებოდა. როდესაც გროსმაისტერის ფიგურებმა აქტიური პოზიციები დაიკავეს, იგი შეტევაზე გადავიდა. ქართველი მოჭადრაკე მტკიცედ აწარმოებდა დაცვას და საპატიო ყაიმსაც მიაღწია. ანტოშინმა, გამოიყენა რა გიორგაძის შეცდომა დებიუტში, მორიგ გამარჯვებას მიაღწია. სახაროვი დამარცხდა იუხტმანთან. ხალილბეილიმ ბუსლაევთან შუა თამაშში კარგი კომბინაციით მოიგო ფიგურა და მალე პარტიაც.

ყაიმზე შეთანხმდნენ პოლუგაევსკი-ზურახოვი.

დანარჩენი პარტიები გადაიდო.

### მეათე ტური

საინტერესო გამოდგა კორჩნოი-გიორგაძის პარტია. თბილისელმა ორ პაიკში მხედრის შეწირვით ძალზე მწვავე თამაში შექმნა, მაგრამ შემდგომში გიორგაძე ვერ თამაშობდა კარგად. გროსმაისტერმა ადვილად მოიგერია იერიში და მოიგო პარტია.

ანტოშინმა დებიუტში ხალილბეილის პაიკი მოუგო, ხოლო შემდეგ მეთოდური თამაშით გაიმარჯვა. ცუდად გაითამაშა სიცილიური დაცვა გურგენიძემ იუხტმანის წინააღმდეგ. მან უკვე დებიუტში ხარისხი დაკარგა. ამან პარტიის ბედი მოსკოველის სასარგებლოდ გადაწყვიტა. კროგიუსმა მოუგო კასპარიანს.

ყაიმით დამთავრდა ფურმან-პოლუგაევსკისა და პეტროსიან-კოტკოვის პარტიები.

### გადადებული პარტიების დამთავრება

ზურახოვმა დამაჯერებლად გამოიყენა კობლენცის შეცდომები და მას პირველი დამარცხება მიაყენა. პეტროსიანმა ადვილად გაიმარჯვა ჩუკაევთან. ყაიმით დამთავრდა კროგიუს-ვორონკოვის, კოტკოვ-ფურმანის პარტიები.

ათი ტურის შემდეგ ტ. პეტროსიანს აქვს 7 ქულა, ვ. კორჩნოისა და ვ. ანტოშინს — 6,5 ქულა თვითეულს, ს. ფურმანს — 6 ქულა, ი. კოტკოვსა და ნ. კროგიუსს — 5,5 ქულა თვითეულს.



სურათზე: საკავშირო ნახევარფინალის ერთ-ერთი პარტიის მსვლელობას თვალყურს ადევნებს გროსმაისტერი ტ. პეტროსიანი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.



(გაგრძელება)

...რებმა თავის მეტოქეს ჩამორჩა სულ ...ეორედით და აჩვენა 1.02,3. მესამე ...დგილი დაიკავა ფ. ლიჩმა (ავსტრა...ია) — 1.05,1. უცხოეთის პრესა ამ ...შედეგებს სამართლიანად უწოდებს ...ანტასტიკურს.

...მეტად საინტერესო ბრძოლაში მიმ...დინარეობდა ვაჟთა ფინალი ბატერ...ლაის სტილით ცურვაში 200 მეტრ...ზე. გამარჯვება მოიპოვა მსოფლიო ...რეკორდსმენმა უ. იორზიკმა (აშშ) — ...2.19,3. ფინიშთან მეორე იყო ტ. ისი...ტო (იაპონია) — 2.23,8, მესამე — ...ტუმპეკი (უნგრეთი) — 2.23.9.

...არანაკლები მაყურებელი ჰყავდა ...ეჯიბრებას წყალში ხტომაში ტრამ...პლინიდან ვაჟთა შორის. უძლიერეს...ად ალმოჩნდნენ ამერიკელები რ. ...კლოუტუორტი და დ. ჰარპერი. მე...ოთხე და მეხუთე ადგილებზე გამო...ვიდნენ გ. უდალოვი და რ. ბრენერი ...(სსრკ).

...ჩვენი გაზეთის წინა ნომერში მო...თავსებული იყო ცნობები თავისუ...ფალი ჭიდაობის შესახებ. მოგვყავს ...შედეგები ამ სახეობაში ყველა წონი...ს კატეგორიის მიხედვით.

...უმჩატეს წონაში, როგორც ცნობი...ლია, პირველი ადგილი დაიკავა მ. ...ცალქალამანიძემ (სსრკ). მეორეზეა მ. ...ხოჯასტეპური და მხოლოდ მესამე...ზე — მსოფლიო ჩემპიონი თურქი გ. ...ზიბასი.

...მჩატე წონით კატეგორიაში ორივე ...ფინალური შეხვედრა მოიგო მ. და...ისტანლუმ (თურქეთი). ვერცხლის ...მედალი ერგო ირანელ იახგუბის, ...ბრინჯაოსი — მ. შახოვს (სსრკ).

...ქვემსუბუქ წონაში კვლავ არ ...ჰყავდა ტოლი მსოფლიო ჩემპიონს ...იაპონელ ს. სასახარას. მან დიდი უპი...რატესობით მოიპოვა ოქროს მედა...ლი. მომდევნო ადგილებზე არიან მე...ისი (ბელგია) და ტეკკილა (ფინეთი).

...ორი დამარცხება განიცადა მსუბუ...ქი წონის ფინალში საბჭოთა მოჭიდა...ვემ ა. ბესტაევმა და გამოვიდა მესა...მე ადგილზე. ჩემპიონობა მოიპოვა ...ირანელმა ხაბიბიმ, ხოლო მეორე ...ადგილი — კასახარამ (იაპონია).

...ქვესაშუალო წონაში უძლიერესი ...აღმოჩნდა იაპონელი იკედა. მეორე ...ადგილი დაიკავა თურქმა ზენტინმა, ...რომელმაც სუფთად მოუგო მესამე ...ადგილზე გამოსულ ვ. ბალავაძეს ...(სსრკ).

...დიდ წარმატებას მიაღწია საშუალო ...წონაში ბულგარელმა ნიკოლოვმა, ...რომელიც ოლიმპიური ჩემპიონის ...ოქროს მფლობელი გახდა. ამერი...კელმა დ. ხოჯმა მოუგო შეხვედრა ...გ. სხირტლაძეს (სსრკ) და გამოვიდა ...მეორე ადგილზე.

...ჩემპიონობის დიდი შანსები ჰქონ...და ქვემძიმე წონის მოჭიდავეს ბ. ...კულაევს (სსრკ), მაგრამ ირანელმა გ. ...ტახტიმ შეძლო ქულებით დაემარც...ხებინა იგი და გამოსულიყო პირველ ...ადგილზე. მესამეზეა ამერიკელი ...ბლერი.

...მძიმე წონაში კონკურენციის გარე...შე იყო თურქი კაპლანი. მეორე ად...გილი დაიკავა ბულგარელმა მოჭი...დავემ ალიჩევმა.

...კიდევ ერთ დიდ გამარჯვე...ბას მიაღწიეს ავსტრალიელებმა ...ვაჟთა თავისუფალი სტილით 4×200 ...მეტრზე. მათ დაამყარეს ახა...ლი მსოფლიო რეკორდი — 8.23,6. ...ამერიკელები მნიშვნელოვანი განსხ...ვავებით ჩამორჩნენ მათ — 8.31,5. ...საბჭოთა კავშირის ნაკრებმა გუნდმა ...(ბ. სოროკინი, ვ. სტრუჟანოვი, ვ. ნი...კოლაევი და ბ. ნიკიტინი) დაიკავა ...მესამე ადგილი — 8.34,7.

...დაიწყო ფინალური მატჩები წყალ...ბურთში. მოგვყავს ტექნიკური შედე...გები: სსრკ-იტალია — 3:2, იუგოს-ლავია-აშშ — 5:1, უნგრეთი-იტალია — 4:0, აშშ-გერმანია — 4:3.

მოლოდინის საწინააღმდეგოდ მეტად წარუმატებლად გამოვიდნენ ჩვენი სპორტსმენები კლასიკურ ჭიდაობაში. უმჩატეს წონაში ნ. სოლოვიოვმა წააგო რუმინელ დ. პირვულესკუსთან, მჩატე წონაში ფ. ხორვატმა (რუმინეთი) მოუგო ქ. ვირუპაევს (სსრკ). თურქმა მოჭიდავემ მ. სილემ ქვემსუბუქ წონაში ბეჭებზე დადო რ. ძნელაძე (სსრკ), ხოლო მსუბუქ წონაში ვ. როსინმა წააგო ავსტრიელ ვ. ბროტცნერთან. მსოფლიო ჩემპიონ გ. კარტოზიას (სსრკ) შვედმა რ. იანსენმა (საშუალო წონა) მოუგო ქულებით. ქვემძიმე წონაში ქულებით დამარცხება განიცადა ვ. ნიკოლაევმა (სსრკ) ბულგარელ პ. სირაკოვისაგან.

მძიმე წონის მოჭიდავეთა ე. დიტრიჰი (გერმანია) და ა. პარფენოვის შეხვედრაში გამარჯვება პირველად მიენიჭა გერმანელ მოჭიდავეს, მაგრამ მსაჯთა კოლეგიამ შეცვალა თავისი გადაწყვეტილება და მოგებულად გამოაცხადა პარფენოვი. საბჭოთა მოჭიდავეთაგან გამარჯვება მოიპოვა აგრეთვე ვ. მანეევმა (ქვესაშუალო წონა) ფინელ ტ. რანტანენთან.

ე. წ. დასავლეთ სტადიონზე დაიწყო ქალთა შეჯიბრება ტანვარჯიშში (სავალდებულო პროგრამა). პირად ჩათვლაში პირველი დღის შემდეგ წინაა რუმინელი ტანმოვარჯიშე ე. ლეუშტიანუ, რომელმაც 4 იარაღზე მიიღო 37,298 ქულა. მეორე ადგილზეა ს. მურატოვა (სსრკ) — 37,266 ქულა, მესამეზე — ლ. ლატინინა (სსრკ) — 37,232.

საბჭოთა მოფარიკავეებმა ესპადრონით ბრძოლაში დაამარცხეს ავსტრალიელები, მაგრამ ნახევარფინალში წააგეს საფრანგეთთან (7:9). მეტად დაძაბული იყო ჩვენი გუნდის შეხვედრა იტალიის ძლიერ გუნდთან. ანგარიშით 9:7 გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: ოლიმპიური ჩემპიონი რ. რიჩარდსი (აშშ) იღებს სიმაღლეს.




# ახალ ტრასაზე





გაზეთი „მოლოდი სტალინეცი" ყოველწლიურად ატარებს თბილისის უძლიერეს ველოსიპედისტთა შეჯიბრებას გარდამავალ თასზე. წინათ ველორბოლის მარშრუტი გადიოდა თბილისის ქუჩებში. ტრასის გადატვირთვა ტრანსპორტის მოძრაობით სპორტსმენებს საგრძნობლად უშლიდა ხელს მაღალი შედეგების ჩვენებაში.

წელს შეჯიბრების ორგანიზატორებმა გაითვალისწინეს ეს გარემოება და ველორბოლა ახალ ტრასაზე ჩაატარეს. ველოსიპედისტებს ხუთი წრე უნდა გაეკეთებინათ მტკვრის ორივე სანაპიროზე სტალინის სახელობის ხიდიდან კარლ მარქსის სახელობის ხიდამდე. ტრასის სიგრძე შეადგენდა 16,750 კილომეტრს.

დღის პირველი საათისათვის მტკვრის სანაპიროზე, 123-ბინიან სახლთან, სადაც დანიშნული იყო ველორბოლის სტარტი და ფინიში, თავი მოიყარეს დედაქალაქის უძლიერესმა ველოსიპედისტებმა. გაზეთ „მოლოდოი სტალინეცის" გარდამავალ თასზე გამართულ ველომრბოლთა პირად-გუნდურ შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ „დინამოს", „ბურევესტნიკის", „ლოკომოტივის", „სპარტაკის" წარმომადგენლები.

შეჯიბრების გახსნის საზეიმო ცერემონიალის შემდეგ სპორტსმენები სტარტზე დადგნენ. აი, მესტარტემ ალამი დაიქნია. თავიდანვე წინ გაიჭრა წითელმაისურიანი სპორტსმენი, ეს იყო ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი ველოსიპედისტი სპარტაკელი ჯ. ზანდუკელი. პირველი წრე — 3350 მეტრი მან დაფარა 4 წუთსა და 45 წამში. ჯ. ზანდუკელს რამდენიმე მეტრის დაშორებით მისდევდა ველომრბოლელთა ჯგუფი 12 კაცის შემადგენლობით, რომელთა შორის უმრავლესობა დინამოელები იყვნენ. ჯ. ზანდუკელი სულ უფრო მძლავრად ამუშავებდა ფეხებს და თანაბრად უმატებდა სისწრაფეს. მოსალოდნელი იყო, რომ იგი შეინარჩუნებდა აღებულ ტემპს და გამარჯვებასაც მოიპოვებდა.

მეორე წრის ნახევარიც კი არ ჰქონდა გავლილი, რომ ჯ. ზანდუკელს „ბედმა უმუხთლა". მანქანის თვალი ორმოში ჩაუვარდა და იძულებული გახდა შეჯიბრებიდან გამოსულიყო. რბოლას სათავეში ჩაუდგნენ დინამოელი ველოსიპედისტები ქ. შენგელია, ვ. ძებნიაური, პ. ბირიუკოვი და ი. იუხნევიჩი. ძირითადი ჯგუფიდან რამდენიმე ველოსიპედისტმა მოუმატა რბოლის ტემპს და სცადა წამოეწიოდა წინწასულებს, მაგრამ ამაოდ.

ცხადი შეიქმნა, რომ პირადი პირველობის ბედი მათ შორის გადაწყდებოდა, მაგრამ ვინ მოიპოვებდა გამარჯვებას — ეს ტრასის ბოლო მონაკვეთამდე გაურკვეველი იყო. დინამოელები მორიგეობით ლიდერობდნენ და სულ უფროდა უფრო ავითარებდნენ სისწრაფეს. მეხუთე წრეზე კარლ მარქსის სახელობის ხიდთან წინ გავიდა სპორტის ოსტატი ქ. შენგელია და საკმაო მანძილზე ჩამოიტოვა ამხანაგები. იუხნევიჩი და ბირიუკოვი გამოეკიდნენ მას, მაგრამ წამოწევა ვერ შეძლეს. ფინიშზე პირველი მივიდა შენგელია, რომელმაც 16,750 კილომეტრი დაფარა 24 წუთსა და 37 წამში. მეორე-მესამე ადგილისათვის მეტად მწვავე, დაძაბული ბრძოლა გაჩაღდა იუხნევიჩსა და ბირიუკოვს შორის. იუხნევიჩმა მანძილი დაფარა 24 წუთსა და 39 წამში. ასეთივე შედეგი აჩვენა ბირიუკოვმაც, მაგრამ იგი მანქანის თვლით უკან აღმოჩნდა მეტოქეზე და იძულებული გახდა მესამე ადგილით დაკმაყოფილებულიყო.

გუნდურ ჩათვლაში გამარჯვება მოიპოვა „დინამოს" ველოსიპედისტთა კოლექტივმა — 1:38.54.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ მრავალრიცხოვანი მაყურებლის თანდასწრებით გაზეთ „მოლოდოი სტალინეცის" რედაქტორმა ო. ყინჩლაძემ ველორბოლაში გამარჯვებულ „დინამოს" გუნდს გადასცა გარდამავალი თასი, ხოლო პირველ სამ ადგილზე გამოსულ ველოსიპედისტებს — ფასიანი საჩუქრები.

ა. კონსტანტინოვი

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: ველორბოლის მონაწილენი სტალინის სახელობის ხიდზე. წრეში — ქ. შენგელია.

ფოტო ქ. კრიმსკისა.

## გუშინ ოლიმპიადაზე

პირველი დღის წარუმატებლობის შემდეგ მეორე ტურში გამარჯვებები მოიპოვეს საბჭოთა მოჭიდავეებმა, მათ შორის ვირუპაევმა მოიგო ქულებით, ხოლო კარტოზიამ, სოლოვიოვმა და ძნელაძემ — სუფთად.

მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლაში ჩემპიონი გახდა ბოგდანოვი (სსრკ).

ოლიმპიური ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა სროლაში საბჭოთა სპორტსმენმა რომანენკომ.

ესპადრონით ფარიკაობაში უნგრელებმა მოუგეს საფრანგეთს — 12:4, ხოლო საბჭოთა სპორტსმენებმა წააგეს პოლონელებთან.

ესპადრონით ბრძოლის ფინალში უნგრეთმა დაამარცხა პოლონეთი და მოიპოვა I ადგილი. საბჭოთა კავშირის სპორტსმენებმა ანგარიშით 8:7 ძლიეს ფრანგებს და მესამე ადგილზე გამოვიდნენ.

მორიგი შეხვედრა წყალბურთში იუგოსლავიისა და გერმანიის გუნდებს შორის დამთავრდა ფრედ — 2:2. საბჭოთა კავშირის გუნდი გუშინ ისვენებდა.

საცურაო აუზში მიმდინარეობდა ვაჟთა შეჯიბრება 100 მ ზურგზე და ქალთა ესტაფეტა თავისუფალი სტილით 4×100. ამ სახეობებში წარმატებით გამოდიან ავსტრალიელი, ამერიკელი და უნგრელი მოცურავეები.

ფეხბურთელთა პირველ ნახევარფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ იუგოსლავიისა და ინდოეთის ნაკრები გუნდები. გაიმარჯვეს იუგოსლაველებმა — 4:1.

საინტერესოდ წარიმართა აშშ-სა და იტალიის წყალბურთელთა შეხვედრა. უკანასკნელ წუთამდე ანგარიში იყო 2:2. იტალიელები გადავიდნენ გადამწყვეტ შეტევაზე, გაიტანეს მესამე ბურთი და შეხვედრა მოიგეს — 3:2.

# 37 გუნდის მონაწილეობით

გასულ კვირას ლენინის სახელობისა და ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს სპორტულ დარბაზში დაიწყო რესპუბლიკური შეჯიბრება გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" თასზე, მიძღვნილი ჩვენს ქვეყანაში კალათბურთის დანერგვის 50-ე წლისთავისადმი.

შეჯიბრებაში მონაწილეობს თბილისის, სოხუმის, ქუთაისის, წულუკიძის, ჭიათურის, გორის, ფოთის, თელავის, ლაგოდეხის, ახალქალაქის, ახალციხის, თეთრი წყაროსა და სხვა რაიონებისა და ქალაქების ვაჟთა 25 და ქალთა 12 გუნდი.

პირველ დღეს დაძაბული ბრძოლა გაჩაღდა ქუთაისისა და თბილისის განათლების განყოფილების ვაჟთა გუნდების შეხვედრაში. თამაში ბოლომდე გარდამავალი უპირატესობით. პირველი ნახევარი მოიგეს ქუთაისელმა კალათბურთელებმა — 30:28. თამაშის დამთავრებას მხოლოდ 3 წამი აკლდა, როცა ანგარიში იყო 51:51. გადამწყვეტ მომენტში ბურთი ხელთ იგდეს მოსწავლე კალათბურთელებმა და ზუსტი ტყორცნით კალათში მოათავსეს. ამან შეხვედრის ბედი მათ სასარგებლოდ გადაწყვიტა. ამ დღის სხვა შეხვედრებიდან უნდა აღინიშნოს ახალციხის ვაჟთა გუნდის გამარჯვება თბილისის „ნორჩი დინამოელის" კოლექტივზე. ახალციხელებმა აჩვენეს გააზრებული თამაში და მოწინააღმდეგე დაამარცხეს დიდი უპირატესობით — 68:38. ახალციხელთა გუნდში თამაშის კარგი გაგებითა და მაღალი ტექნიკით გამოირჩევა ჯ. ნატროშვილი.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კიროვის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ვაჟთა გუნდები ძველი სპორტული მეტოქეები არიან. ეს დადასტურდა ამ შეჯიბრებაზეც. უნივერსიტეტის გუნდში თამაშობდნენ კ. ადეიშვილი, ა. გერასიმოვი, ი. გოლემბიოვსკი, ო. ჩაჩუა, ო. ლორთქიფანიძე; პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტულ სახელს იცავდნენ თ. ტოგონიძე, ა. აჩბა, გ. მიქაძე, გ. ზაქარიაძე და ა. ლეჟავა, რომლის სიმაღლე 2 მ და 4 სმ-ია.

შეხვედრის მეექვსე წუთზე ანგარიში იყო ფრე, შემდეგ წინ წავიდნენ პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტსმენები, მაგრამ შემდეგში მათ დაკარგეს ინიციატივა და წააგეს პირველი ნახევარი ანგარიშით 30:34.

მეორე ნახევარში პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდში მოთამაშეები შეიცვალა. ამან მნიშვნელოვანი გარდატეხა შეიტანა თამაშში. პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტსმენები სულ უფრო გაბედულად ახორციელებდნენ იერიშებს. შეხვედრის საბოლოო შედეგია 76:68 პოლიტექნიკური ინსტიტუტის ვაჟთა გუნდის სასარგებლოდ. კარგი თამაში აჩვენეს აჩბამ, გოლემბიოვსკიმ და გერასიმოვმა.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქალთა ძლიერმა კოლექტივმა, რომლის შემადგენლობაში თამაშობდნენ სპორტის ოსტატები ა. ასიტაშვილი, გ. გრიგორიანი, ვ. იურიევა, დ. გრიგოლაშვილი, დაამარცხა განათლების განყოფილების ქალთა გუნდი ანგარიშით 66:51.

მოგვყავს დანარჩენი შეხვედრების ტექნიკური შედეგები: ვაჟები. ფიზკულტურის ინსტიტუტი-სიღნაღი — 86:27; ახალციხე-საჩხერე — 44:37; ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველო-მახარაძე — 61:46; „ნორჩი დინამოელი"-ხოხატაური — 89:35; ფოთი-გორი — 75:46; წულუკიძე-თელავი — 57:46; სამტრედია-ლაგოდეხი — 61:36; რუსთავი-ზუგდიდი — 57:46; ჭიათურა-ახალქალაქი — 39:32; საჩხერე-ჩოხატაური — 44:36; მახარაძე-ზუგდიდი — 58:37; წულუკიძე-ახალქალაქი, თელავი-ჭიათურა — 66:57; ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველო-რუსთავი — 71:36; სიღნაღი-ლაგოდეხი — 61:38; ფიზკულტურის ინსტიტუტი-სამტრედია — 70:27; „დინამო"-სოხუმი — 103:29; პოლიტექნიკური ინსტიტუტი-გორი — 102:40; უნივერსიტეტი-ფოთი — 64:33.

ქალები. უნივერსიტეტი-ჭიათურა — 64:36; განათლების განყოფილება-ახალქალაქი — 97:6; გორი-თელავი — 52:21; „დინამო"-ფიზკულტურის ინსტიტუტი — 44:36; გორი-თეთრი წყარო — 74:11; თელავი-ახალქალაქი — 38:20; უნივერსიტეტი-„დინამო" — 71:36.

ზ. ვახტანგაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

# პასუხი გულშემატკივრებს

გაზეთ „ლელოს“ 7 ნოემბრის ნომერში მოთავსებული იყო ფეხბურთის გულშემატკივართა ერთი ჯგუფის წერილი, სადაც გვთხოვდნენ გაგვეცა პასუხი მათთვის საინტერესო საკითხზე — თბილისის „დინამოს“ ოსტატთა გუნდის შესახებ. დიდის პატივისცემით ვპასუხობთ ამხანაგებს და შეძლებისდაგვარად აღვწერთ გუნდში ჩატარებულ მუშაობას განვლილი წლის მანძილზე.


ბ. ჯეჯელავა,
თბილისის „დინამოს“ უფროსი მწვრთნელი,

ა. კიკნაძე,
თბილისის „დინამოს“ მწვრთნელი,
სპორტის დამსახურებული ოსტატები.


სასწავლო-საწვრთნელი მუშაობა დავიწყეთ ა. წ. 5 იანვარს. გუნდის საერთო შემადგენლობის გარდა წვრთნაში დამატებით ჩაბმულ იქნა 19 ფეხბურთელი, რომლებიც ჩვენ შევარჩიეთ ახალგაზრდა ფეხბურთელთა სპეციალურ შეკრებაზე. მუშაობის დაწყებიდან განსაზღვრული პერიოდის გავლის შემდეგ გამოირკვა ცალკეულ მოთამაშეთა საქმისადმი დამოკიდებულება, კოლექტივის სიყვარული, დისციპლინა, აგრეთვე მათი პერსპექტიულობა, რის შედეგად გუნდის ხელმძღვანელობამ, მწვრთნელთა საბჭომ, (სადაც მწვრთნელების, გუნდის უფროსისა და ექიმის გარდა შედიან ა. ღოღობერიძე, ნ. ძიაპშიპა და ვ. ელოშვილი) წამყვან მოთამაშეებთან თათბირის შემდეგ მიზანშეწონილად სცნო რიგი მოთამაშეების განთავისუფლება გუნდიდან. ამავე პერიოდში საჭირო გახდა დავხმარებოდით თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდს, რისთვისაც მათ გადავეცით ზ. ტარზა, ი. კურტანიძე, თ. მელაშვილი და ა. ჩიჩუა.

ჩვენ გვისაყვედურებენ დუბლიორთა წარუმატებლობაზე, გვისაყვედურებენ, რომ მათში არ ჩანან ძირითადი შემადგენლობისათვის ახლო მომავალში გამოსადეგი ფეხბურთელები. ჩვენ ვეთანხმებით ამ საყვედურების ავტორებს. მეტიც — განა „დინამოს“ ძირითად შემადგენლობაში კი არ არიან მოთამაშეები, რომლებიც თავისი კლასით არ დგანან იმ დონეზე, რომელიც შეეფერება ისეთ მაღალკვალიფიციურ გუნდს, როგორიცაა თბილისის „დინამო“? მაგრამ, ვფიქრობთ, ზემოჩამოთვლილი მოთამაშეების გუნდში დატოვებით უფრო სახარბიელო სურათი მაინც არ გვექნებოდა. ისინი რომ დარჩენილიყვნენ, ჩვენს დუბლიორებს შეეძლოთ ლიდერთა შორის დაეკავებინათ ადგილი, მაგრამ ეს იქნებოდა მოჩვენებითი წარმატება, რომელიც საბოლოოდ უარყოფით შედეგს მოგვიტანდა. ამიტომ საჭირო შეიქნა შესაფერისი პერსპექტივების მქონე ფეხბურთელთა ძიება თვით გათამაშების მსვლელობაში და საამისოდ მრავალი ექსპერიმენტის ჩატარება, მოთამაშეთა გასინჯვა სხვადასხვა ადგილებზე. ცხადია, ამან სათანადო უარყოფითი გავლენა მოახდინა დუბლიორთა საბოლოო შედეგზე. სხვაგვარად არ შეიძლება ყოფილიყო.

ვერ დავეთანხმებით იმ ამხანაგებს, რომლებიც სათანადო კადრების გამონახვისათვის მიგვითითებენ ბავშვებზე. რასაკვირველია, ბავშვები, ახალგაზრდობა კადრების დაუშრეტელი წყაროა არა მარტო ფეხბურთისათვის, არამედ ყველა სხვა დარგისთვისაც, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნიჭიერ ბავშვს შეიძლება დღესვე მიენდოს ადგილი ოსტატთა გუნდში. საამისოდ საჭიროა სათანადო სკოლის გავლა, ტექნიკისა და ტაქტიკის ათვისება, ფიზიკური მომზადება, გამოცდილების მიღება და ა. შ.

ჩვენის აზრით, ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი შევსებას უნდა ღებულობდეს ძირეული კოლექტივებიდან, ფეხბურთელთა იმ მრავალრიცხოვანი მასიდან, რომელიც მთელი წლის განმავლობაში ჩაბმულია სხვადასხვა მასშტაბის შეჯიბრებებში. მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ამ ძირეულ კოლექტივებში სასწავლო-საწვრთნელი მუშაობა არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული, ხოლო ზოგან სრულიად ჩაშლილია. არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმ გარემოებასაც, რომ ბევრგან საკუთარი კადრების მზრუნველობით აღზრდის ნაცვლად სხვა ქალაქებიდან (ჩვეულებრივ თბილისიდან) იწვევენ გასტროლიორ ფეხბურთელებს, რომელთა ასაკი არავითარ პერსპექტივას არ იძლევა. ჩვენ ჯერ კიდევ ცუდად ვიყენებთ იმ შესანიშნავ კლიმატურ პირობებს, რომლებიც ჩვენს რესპუბლიკაში არსებობს. არა მარტო საწვრთნელი მეცადინეობანი, ჩვენში თითქმის სრული წლის მანძილზე უწყვეტად შეიძლება შეჯიბრებათა ჩატარება. მაგრამ ეს ასე არ ხდება. პირველი ცივი ამინდების დადგომისთანავე რესპუბლიკის საფეხბურთო მინდვრებზე ძირითადად წყდება როგორც წვრთნა, ისე შეჯიბრებები ფეხბურთში.

ამჟამად თბილისში შესანიშნავი ამინდები დგას. ჩვენი მოთხოვნით მწვრთნელთა საბჭომ მიიღო დადგენილება ჩატარდეს სხვადასხვა შეჯიბრება ძირეული კოლექტივების გუნდების მონაწილეობით.

ახლახან დამთავრდა ჭუჩის გუნდების საქალაქო შეჯიბრება. მაყურებლებს, რომლებიც დაესწრნენ ამ მატჩებს, შეიძლება მოეწონათ ცალკეული მოთამაშეები ამ გუნდებიდან, მაგრამ მათ უნდა მოვახსენოთ, რომ ეს მოთამაშეები პირველად არ გამოდიან დიდ მინდორზე. ისინი უკვე თამაშობდნენ სხვადასხვა გუნდებში და ჩვენთვის არ წარმოადგენენ სასარგებლო სიახლეს.

საყვედური უნდა ეთქვას ისეთ ძლიერ სპორტსაზოგადოებებს, როგორიცაა „სპარტაკი“ და „ბურევესტნიკი“, რომლებსაც არ გააჩნიათ საკუთარი გუნდები. ყოვლად დაუშვებელია ის მდგომარეობა, რომელიც ამჟამად უმაღლეს სასწავლებლებში არსებობს. კერძოდ, სახელმწიფო უნივერსიტეტს წარსულში ჰყავდა პირველხარისხოვანი კოლექტივი, ხოლო ამჟამად უნივერსიტეტს არ გააჩნია გუნდი, რომელსაც შეეძლოს შესაფერისად წარმოადგინოს ისეთი ორგანიზაცია, როგორიცაა სახელმწიფო უნივერსიტეტი. ანალოგიური მდგომარეობაა პოლიტექნიკურ ინსტიტუტსა და ფიზკულტურის ინსტიტუტში. საჭიროა მხოლოდ მონდომება და საქმისადმი სიყვარული და უმაღლეს სასწავლებლებში შეიძლება საუკეთესო გუნდების ჩამოყალიბება.

ორიოდე სიტყვა თბილისის ყოფილი 35-ე სკოლის საფეხბურთო კოლექტივის შესახებ. ზოგიერთნი, რომლებიც ახლოს დგანან ფეხბურთის საქმიანობასთან, ცდილობენ შექმნან საზოგადოებრივი აზრი, რომ ამ სკოლის არსებობა მიზანშეუწონელია. თუ რა მუშაობა იქნა წარმოებული ამ სკოლის ახალგაზრდა ფეხბურთელთა აღზრდის საქმეში, ფეხბურთის მოყვარულებმა საკუთარი თვალით იხილეს თბილისის „ბურევესტნიკის“ სტადიონზე მისი გახსნის დღეს. ამ სკოლის კლუბში აღზრდილ ფეხბურთელთაგან ერთ გუნდში დავინახეთ ცნობილი ოსტატები ზ. კალოევი, ა. კოტრიკაძე, ა. ჭკუასელი, მ. დავარაშვილი, მ. მესხი, შ. იამანიძე, ა. ხელაძე, ს. კოტრიკაძე, შ. ჭრელაშვილი, ჟ. თორაძე, დ. ხუნდაძე. მათ გარდა სკოლაში „აიდგეს ფეხი“ კარგი პერსპექტივების მქონე ფეხბურთელებმა, რომლებმაც თავის დროზე ჩინებული თვისებები აჩვენეს თბილისის „სპარტაკის“ შემადგენლობაში და რომ ეს გუნდი სხვადასხვა (ყოვლად მიუტევებელი) მიზეზის გამო არ დაშლილიყო, ო. ოთარაშვილს, ა. კილაძეს, გ. კახნიაშვილს, ო. ჩიქობავას, გ. ვერულაშვილს, ს. შარაშენიძეს, ი. კახაძესა და სხვებს მტკიცედ ექნებოდათ ადგილი უძლიერესთა შორის. აქ არ შევუდგებით იმ მრავალრიცხოვან ფეხბურთელთა ჩამოთვლას, რომლებიც ამ სკოლის დამთავრების შემდეგ წარმატებით თამაშობენ ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქისა და რაიონის გუნდებში.

35-ე სკოლის ბაზაზე დაკომპლექტებულმა საქართველოს ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრებმა გუნდმა ოთხჯერ მოიპოვა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის წოდება და არც ერთხელ არ გასცილებია საპრიზო ადგილს. 1951 წელს ფეხბურთის საკავშირო სექციამ მოისმინა ვრცელი მოხსენება თბილისის 35-ე სკოლის მუშაობის შესახებ, რის შემდეგ ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტმა გამოიტანა დადგენილება, სადაც რეკომენდაციას აძლევდნენ სხვა რესპუბლიკებსა და დიდ ქალაქებს გაეხსნათ ანალოგიური სკოლები. ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ცხადია, რომ ასეთი სკოლის დახურვა ყოვლად გაუმართლებელია.

დავუბრუნდეთ ჩვენს გუნდს. როგორც უწინ, ისე ახლაც, ჩვენ ვატარებთ რაიონებში მყოფ ახალგაზრდა ფეხბურთელთა გასინჯვას, რომლებიც წარმოდგენილი არიან ფეხბურთის ავტორიტეტულ მცოდნეთა რეკომენდაციით. მათთან მუშაობას ვაწარმოებთ საკავშირო კომიტეტის მიერ სპეციალურად დაწესებული ნორმატივების მიხედვით (რბენა სხვადასხვა მანძილებზე, დარტყმები, ხტომები და სხვ.) სამწუხაროდ, ვერც ერთმა ამ ახალგაზრდებიდან ვერ შეძლო ნორმატივების შესრულება. ე. ი. როცა შერჩევა დამთავრდება, ჩვენ იძულებული ვიქნებით ფეხბურთელებთან ვიმუშაოთ არა მათს საერთო სრულყოფაზე, არამედ ამ ელემენტების ათვისებაზე, რაც, ცხადია, მეტ დროს წაგვართმევს. რასაკვირველია, მოთამაშეთა შეფასება, მათი პერსპექტიულობის გამორკვევა წარმოებს არა მარტო ამ ნორმატივების შესრულებით, არამედ ორმხრივი თამაშების მიხედვით. მაგალითად, ჩატარდა რამდენიმე მატჩი „დინამოს“ დუბლიორებსა და ასარჩევ მოთამაშეთა შორის. დუბლიორებმა გაიმარჯვეს დიდი ანგარიშით. აქედან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ არ შეიძლება დუბლიორთა შემადგენლობის ხელაღებით განიავება, მაგრამ ნიჭიერ ფეხბურთელთა შეყვანა მასში აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. და ეს ასეც მოხდება.

მთავარი, რაც ჩვენი ყურადღების ცენტრში იყო წელს, ეს, რა თქმა უნდა, გუნდის ძირითადი შემადგენლობა იყო, შემადგენლობა, რომელსაც დაკარგული ჰქონდა რწმენა თავის ძლიერებაში. იგი არ წარმოადგენდა მონოლითურ, ერთიან კოლექტივს. „ჩამოსაწერ“ მოთამაშეთა სიაში იყვნენ მოქცეული ვ. ელოშვილი, ვ. მარღანია, მ. პირაევი, ა. ღოღობერიძე. ჩვენივე „რეკომენდაციით“ დისკვალიფიკაცია მიეცა ა. ჭკუასელს, ხოლო ნ. ძიაპშიპა უკვე ჩამოწერილი გახლდათ. საჭირო გახდა დიდი მუშაობის ჩატარება გუნდის შემჭიდროებისათვის, მისი ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისათვის, დრო კი ერთობ ცოტა გვქონდა. კოლექტივის წევრების აქტიური მონდომებით, კომპეტენტურ სპეციალისტთა რჩევა-დარიგების, მათი შენიშვნების გათვალისწინებით, სხვადასხვა პედაგოგიური მეთოდების გამოყენებით მიზანს ასე თუ ისე მივაღწიეთ. არანაკლები მუშაობის ჩატარება დაგვჭირდა გუნდში სუსტი ადგილების შესავსებად, ზოგიერთი მოთამაშისათვის ახალი ადგილის გამონახვისათვის, რისთვისაც მრავალი ექსპერიმენტი იქნა ჩატარებული. საბოლოოდ მივაღწიეთ იმას, რომ მივიღეთ საკმაოდ შეთამაშებული ძირითადი შემადგენლობა.

(დასასრული იქნება)

## გადასასვლელი მატჩი

2 დეკემბერს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა პირველი გადასასვლელი მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ „ბ“ კლასის პრიზიორი — ოფიცერთა სახლის გუნდი (თბილისი) და საქართველოს ჩემპიონი — „ლოკომოტივი“ (თბილისი).

მატჩმა ცხადყო არმიელთა დიდი უპირატესობა რკინიგზელებზე. მართალია, „ლოკომოტივს“ ჰქონდა რამდენიმე კარგი მდგომარეობა ბურთის გატანისათვის, მაგრამ ძირითადად თამაში მიმდინარეობდა არმიელების მძლავრი შეტევებით. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თავისი გუნდის წარმატებისათვის თითქმის არაფერი არ გაუკეთებიათ „ლოკომოტივის“ მოთამაშეებს მახარაძესა და ბარქაიას, შეცდომებს უშვებდნენ მცველები და ნახევარმცველებიც.



ანგარიში გახსნა არმიელმა კურტანიძემ, რომელმაც სწრაფად გამოიყენა მცველისა და მეკარის შეუთანხმებლობა ბურთის გადაცემისას, ხოლო რამიშვილმა მალე 11-მეტრიანი დარტყმიდან გაიტანა მეორე ბურთი. შესვენებამდე ცვლილება ანგარიშში არ მომხდარა.

მეორე ტაიმში არმიელთა თავდამსხმელები კიდევ უფრო აქტიურად მოქმედებდნენ და მათი უპირატესობაც უფრო შედეგიანი გამოდგა. მელაშვილმა მე-5 წუთზე გოგლიძეს თავს ზემოთ გადაუგდო ბურთი, გაუსწრო მას და ძლიერი დარტყმით დაამთავრა გარღვევა — 3:0. მალე მელაშვილმა მარცხენა ფრთაზე მიიღო ბურთი და ანგარიში ოთხამდე გაზარდა.

მატჩის დასასრულს მელაშვილმა შორი გადაცემით კართან გაიყვანა მენაბდე და მეკარე კიტიამ მეხუთე ბურთი გამოიტანა ბადიდან, ხოლო ცოტა ხანში არმიელთა ფარზე უკვე ექვსიანი ეწერა — კომბინაცია დალაქიანი-მენაბდე-მელაშვილი - კურტანიძე დამთავრდა ამ უკანასკნელის ზუსტი დარტყმით.

თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდმა გაიმარჯვა ანგარიშით 6:0.

ქ. ნოზაძე

• • •

სურათზე: სახიფათო მომენტი რკინიგზელთა კართან.

ფოტო ფ. კრიმსკისა.

## სტუდენტთა თანამეგობრობა

ორ წელზე მეტია, რაც სპორტული [illegible] ნ. ბარათაშვილის სახელობის [illegible] და მ. გორკის სახელობის სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებს.

მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისში სოხუმის ინსტიტუტის სპორტსმენთა მიწვევით გორელი სტუდენტები იყვნენ სოხუმში, სადაც ჩაატარეს სპორტული შეჯიბრებები.

ამას წინათ სოხუმელები (41 სტუდენტი) ესტუმრნენ გორს. სტუმრები გაეცნენ ინსტიტუტის კაბინეტ-ლაბორატორიებს, სტუდენტთა ყოფა-ცხოვრებას და მათ სპორტულ საქმიანობას. ისინი გორში დარჩნენ ორ დღეს და ჩაატარეს შეჯიბრებები მასპინძელთა კალათბურთელ და ფრენბურთელთა გუნდებთან. ფრენბურთში ქალთა გუნდებს შორის გაიმარჯვეს სოხუმელებმა, ვაჟთა გუნდებს შორის — გორელებმა. კალათბურთში შეჯიბრების დამთავრების შემდეგ მასპინძლებმა (ქალებმა) ჩაიწერეს 54 ქულა, სტუმრებმა — 32. შეჯიბრება ვაჟთა გუნდებს შორისაც მასპინძლების გამარჯვებით დამთავრდა—89:59.

ა. ტაბატაძე

## კომკავშირული კროსი

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის კომკავშირისა და ფიზკულტურის კომიტეტებმა ვაკეში მოაწყეს კომკავშირული კროსი, რომელშიც მონაწილეობდა უმაღლესი სასწავლებლების, ტექნიკუმების, სკოლებისა და წარმოება-დაწესებულებათა ფიზკულტურული კოლექტივების 500-მდე სპორტსმენი.

სკოლებს შორის პირველი ადგილი დაიკავა 29-ე სკოლის კოლექტივმა, 800 მეტრზე რბენა მოიგო 64-ე სკოლის მოსწავლემ ვ. სმაგლიმ. 500 მეტრზე რბენაში გაიმარჯვეს ამავე სკოლის წარმომადგენელმა ლ. გალკინამ და გ. გვინაძემ (52-ე სკოლა).

უმაღლესი სასწავლებლების ვაჟთათვის კროსის დისტანცია იყო 1.500 მეტრი, ხოლო ქალებისათვის — 500 მეტრი. გუნდურ ჩათვლაში პირველები იყვნენ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფიზკულტურელები. პირად პირველობაში გაიმარჯვეს ს. სეროვმა და ვ. დოროხოვამ (რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი).

ტექნიკუმის ფიზკულტურელთა შორის უძლიერესი იყო საფინანსო-საკრედიტო ტექნიკუმის გუნდი. პირადი პირველობა მოიგეს ამავე ტექნიკუმის ფიზკულტურელებმა ს. ქობალიამ და ტ. გუძიაშვილმა.

ი. ხაბეიშვილი

## რკინიგზელთა შორის

ერევანში გაიმართა ამიერკავკასიის რკინიგზის გუნდური პირველობა ჭადრაკში.

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ თბილისის, ერევნის, სოხუმისა და სამტრედიის რკინიგზელი მოჭადრაკეები. ტურნირში პირველი ადგილი დაიკავა თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის გუნდმა. მეორე-მესამე ადგილები გაიყვეს თბილისისა და ერევნის საგზაო განყოფილებების მოჭადრაკეთა კოლექტივებმა.

ბ. ფამილიანტი

## საქართველოს პირველობა

გრძელდება მატჩები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში. ქუთაისის „დინამომ“ თავის მინდორზე მიიღო თბილისის „ლოკომოტივი“. საინტერესო შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1.

გორში თამაშობდნენ ადგილობრივი „დინამო“ და თბილისის „დინამო“ I. მატჩის შედეგია 1:1.


რედაქტორის მაგიერ
ზ. ჯაფარიძე





გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ. მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-84, მორიგისა და გამომშვების — 3-38-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი. ლენინის ქ. № 14.

უე 01173